№ 215. ოთხშაბათი, 4 ივნისი. 1896—1897 ოთხშაბათი, 4 ივნისი № 215.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

## პირველ ივნისიდგან გაზეთი

წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»

## ღირს ოთხი |4| მანათი.

ადრესი: კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თავ. კ. ი. მუხრანბატონიშვილისა, № $^6/_1$.

## „შუამავალი“

ალებ-მიცემის მაღაზიაში იყიდება ძლიერ იაფად სამარის გუბერნიიდგან მიღებული ხელით ნაქსოვი ჩალის ქუდები და კალათები.

აქვე იყიდება საუკეთესო ყანული, ჩაი გისოტცკისა და გოცასა, და აგრეთვე ყოველ-გვარი სანოვაგე, სანელი, ხილეული, კონსერვები, ჩაი-შაქარი, არყები და ღვინოები—ადგილობრივი და საზღვარგარეთისა, პაპიროსი და თამბაქო და სხვა საყოველ-დღეო საჭირო საგნები. (5—5)

---

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

## ხე-ტყის ქარხანა

კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს

**წაბლის ფიცრებს**

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.

◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆

დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში. მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: **Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава.** (300—111)

---

1896 წელს ჩემ მიერ გამოცემული

**ცხრამეტი წიგნი** და ერთი ალბომი

**„ქართველთა ცყომი“** ასამდე სურათით

და მშვენიერის ყდით გაეგზავნება მსურველს

5 მანათად.

ადრესი: ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს. (15—6)

---

მიიღება ხელის-მოწერა

## რუსულ-ქართულ

## სრულ ლექსიკონზე.

მოხსენებულს ლექსიკონში ჩვენ შევიტანთ ყოველ სიტყვას, რომელიც-კი მოიპოვება უკანასკნელს ხანებში გამოსულს რუსულს ენციკლოპედიურს ლექსიკონებში, იმ თვალ-საჩინო განსხვავებით, რომ ჩვენი ქვეყნის შესახებ ცნობები გაცილებით უფრო ვრცლად იქნება განმარტებული. ლექსიკონი გამოვა რამდენიმე წიგნად (დაახლოვებით ექვს წიგნად; ამათში ერთი უკანასკნელი, იქნება **ქართულ-რუსული**, რომელშიაც ავხსნით თვით ჩვენს ლექსიკონში ნახმარ ქართულ სიტყვებს) და ეღირება: **ორ-ორი წიგნი ხუთი მანათი გაგზავნით** (თითო წიგნი იქნება 400—500 გვერდი, ე. ი. დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონის ოდენა, რომელიც იყიდებოდა 3 მან. 60 კაპ.). პირველი წიგნი გამოვა ამ შემოდგომაზე; მსურველს შეუძლიან **სამი მანათი** ეხლა შემოიტანოს, ხოლო დანარჩენი **ორი მანათი** პირველი წიგნის მიღების შემდეგ. სანიმუშოდ ჩვენ უკვე დავბეჭდეთ პირველი ფორმა ამ ლექსიკონისა და შეგვიძლიან გავუგზავნოთ მუქთად ყველას, ვინც მოითხოვს. თუ ვინმე როდისმე ცდილა ქართული ტერმინების შემუშავებას, ვსთხოვთ თავიანთი შრომა გამოგვიგზავნონ და ვენც დიდის სიამოვნებით შევიტანთ მათ მოხსენებულს ლექსიკონში.

ჩვენი ადრესი: ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს.

(15—6) ივანე როსტომაშვილი.

---

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ა. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ.-მათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**მქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

**ი. ფ. პრიტკასკევიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. პუგინოვი**. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი**. $1—1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პრიტკასკევიჩი**. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი**. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ბ. ა. ნავასარდიანი**. $6\,^1/_2—7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.** (წ)

---

## სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას 'და სიფილისს—**ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

(წ.)

---

# დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

1 ივნისი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის ავადმყოფობის ბიულეტენი: წარსული დღე-ღამე მისმა უდიდებულესობამ კარგად გაატარა. ძარღვი კარგად უცემს, სიცხეც არა აქვს დიდი.

ახლად დაბადებულს დიდს მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასულს არავითარი ცვლილება არ ეტყობა, ჯანსაღად არის.

**სტამბოლი.** 30 მაისს მინისტრებს საგანგებო ბჭობა ჰქონდათ, 31 მაისს მეოთხე სხდომა იყო იმის შესახებ, რომ მშვიდობიანი მორიგება მოხდეს; საელჩოებს იმედი აქვთ ამ სხდომამ საქმე დააგვირგვინოს. შემდეგ ელჩებსაც ჰქონდათ ბჭობა.

**რეინტველდენი.** მდინარე რეინზე გადებული დახურული ხის ხიდი ჩაინგრა, ცეცხლი წაეკიდა და წყალმა წაიღო. მიზეზი ჯერ არ იციან.

**ბერლინი.** როდესაც ჰაერში მფრენი ბელფერტი და მეხანიკოსი კნაბბე ჰაეროსტატით აფრინდნენ ასე 1000 მეტრის სიმაღლეზედ. აპპარატი აფეთქდა, ჰაეროსტატს ცეცხლი გაუჩნდა, საჯდომი წნული მოეხსნა და თავს-ბრუ-დამსხმელის სისწრაფით დაეშვა ძირს ტემპელგოტის მახლობლად. ბელფერტი და კნაბბე ორივე მკვდარი იპოვნეს, მთლად დაბუგულნი ცეცხლისაგან. უთუოდ ბენზინის მოძრავს მანქანას გაუჩნდა ცეცხლი.

**კალკუტა.** აქ მიწა იძრა. მრავალი შენობა დაზიანდა. ხოვრასში ბევრი სახლი დაიქცა. შუაღამისას მეორედ და უფრო ძლიერად იძრა მიწა. ქალაქის ზოგიერთს ნაწილში თითქმის არც ერთი სახლი არ გადურჩა დაუზიანებელი. ტამრის ერთის კოშკიდგან ასე 15 ფუტის სიმაღლეზედ მთლად მოირღვა კედლები. სხვა ეკკლესიების კოშკები და საზოგადო შენობებიც ბევრი დაშავდა. მიწის ძვრის დროს 8 ადგილობრივი მცხოვრები იქმნა მოკლული და მრავალი დაშავდა. ევროპიელთაგან არავინ დაშავებულა. გუნგსა და ბარდვალშიაც ბევრი ზარალი მისცა ხალხს მიწის ძვრამ.

2 ივნისი.

**პეტერბურგი.** ბიულეტენი: ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულს ამ უკანასკნელს დღესაც არავითარი ცვლილება არ ეტყობა. თავს კარგადა ჰგრძნობს.

უმაღლეს ახლად შობილი დიდი მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასული სრულიად კარგად იმყოფება.

**პარიზი.** 1 ივნისს, როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტი დოღის სანახავად მიდიოდა ლონშანს, ვიღაცა ახალგაზდამ თოფი ესროლა, მაგრამ არავინ დაუკრია. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ბოროტ-განმზრახველს რევოლვერი-კი არ ესროლა, წამლით გატენილი თუჯის ლულა ესროლა და აფეთქებულიყო. ლულის მახლობლად იპოვნეს: ფორის შეურაცხმყოფელი ბარათი, ერთ-ლულიანი დამბაჩა და პატარა ხანჯალი, რომელზედაც მუქარა იყო ამოჭრილი ფორის შესახებ. როგორც ჰფიქრობენ, ბოროტ-განმზრახველი ჭკუიდამ შეშლილი უნდა იყოს. აფეთქდა თუ არა ლულა, ბოროტ-განმზრახველი გაიქცა და ვერ დაიჭირეს.

**ლამია.** ტყვეების განთავისუფლების შესახებ მოლაპარაკება დღეს დაიწყება. ოსმალებს 250 ტყვე ჰყავთ; ამათგან რამდენიმე თავისუფალი მეომარია. ბერძნებს 200 ტყვე ჰყავთ. ამათში ორი ოფიცერია.

ოსმალებმა წინააღმდეგობა გამოაცხადეს ნიზამის ჯარის დატყვევების შესახებ, რომელთაც სოფელი გაეძარცვათ ნეიტრალურს კადგულში.

**პარიზი.** გამოირკვა, რომ ჯაგებიდგან მოისმა, თურმე, თოფის ხმა და იმ დროს, როდესაც პრეზიდენტმა გაიარა, ბოლიც ავარდა, ხალხში მცირედი მღელვარება მოხდა. მაგრამ, როდესაც გამოირკვა, არავინ დაჭრილაო, კორტეჟი ისევ გზას გაუდგა. პოლიციის ორი აგენტი მაშინვე ჯაგებისაკენ გაექანენ, მაგრამ ველარავინ იპოვეს, გარდა უკვე მოხსენებულის საგნებისა. იქვე იპოვეს ამ შინაარსის ბარათი: „სასჯელი ფელიქს ფორს.“ გამძვინვარებულმა ხალხმა პოლიციის აგენტს იარაღი დაუნახა ხელში, იფიქრა: უთუოდ ეს არის თითონ ბოროტ-გამზრახველიო, ქოლგები და ჯოხები დაუშინეს თავში და რამდენსამე ადგილას გაუტეხეს. როგორც იყო, ბოლოს ამხანაგებმა პოლიციისავე აგენტებმა ძლივს განათავისუფლეს უდანაშაულო პოლიციელი. პოლიციის პრეფექტმაც მეტის-მეტად აბნეული ჩვენება წარადგინა, როდესაც ამის შესახებ ჩაეკითხნენ. როგორც ჰფიქრობენ, იარაღი მეტის-მეტად უხერხულადა და უბრალოდ ყოფილა გაკეთებული და ბოროტ-გამზრახველს დაუნახავს თუ არა პროცესსია, ჯოხზედ მიმაგრებულის სანთლით წაუკიდებია ცეცხლი პატრუქისათვის. ბოროტ-განზრახვამ ფუჭად ჩაიარა, დამნაშავემ თავს უშველა. მაინც დიდს ზარალს ეს იარაღი ვერ მოუტანდა.

# ახალი ამბავი

⁂ თავად აზნაურთა წინამძღოლების ამორჩევა. მოგვყავს სია იმ თავად-აზნაურთა, რომელნიც ამორჩეულ იქმნენ მაზრის წინამძღოლებად. ეს არჩევანი გუშინ წინ, 2 ივნისს იყო.

კენჭი იყარეს: თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თა-

ნამდებობაზე თავ. დ. ს. მაყაშვილმა (მიიღო 23 თეთრი), თავ. ი. ა. ქობულაშვილმა (21 თ. და 2 შ.) და თავ. ა. რ. ვახვახიშვილმა (20 თეთ. და 3 შ.). იმავე მაზრის დეპუტატის თანამდებობაზე: თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ (23 თეთ.) და ზ. ტ. ჯაფარიძემ (20 თეთ. და 3 შ.). დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზე: თავ. ზ. ერისთავმა (19 თეთ. და 12 შ.), გ. ა. ყარანგოზიშვილმა (19 თეთ. და 12 შ.) და თავ. ლ. ნ. მუხრან-ბატონმა (11 თეთ. და 20 შ.). დეპუტატის თანამდებობაზე: დ. ი. რატიშვილმა (24 თეთ. და 5 შ.) და ზ. გედევანიშვილმა (26 თ. და 3 შ.), ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზე: ი. ვ. საგინაშვილმა (37 თ. და 16 შ.), თავ. ი. გ. ბარათაშვილმა (37 თ. და 16 შ.) თავ. ი. გ. ბარათაშვილმა განაცხადა, რადგანაც ორივეს ერთნაირი რიცხვი კენჭებისა ამოგვივიდა, თანამდებობას საგინაშვილს ვუთმობო. დეპუტატის თანამდებობაზედ: გ. ი. ყარაშვილმა (28 თეთ. და 24 შ.) და ი. გ. თულაშვილმა (43 თეთ. და 9 შავი.) გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზედ: თავ. გ. ა. ბაგრატიონ დავითაშვილმა (78 თეთ. და 12 შავი) და თავ. რ. ე. ჯავახიშვილმა (49 თეთ. და 36 შავ.) დეპუტატის თანამდებობაზედ: ი. რ. თარხან-მოურავმა (65 თეთ. და 11 შავ.) და ა. ა. ამირეჯიბმა (58 თეთ. და 19 შ.) ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზედ: თავ. გ. დ. აბხაზმა (14 თეთ. და 5 შავ.) და კორნეტ ჰასან-ბეგ იედიგაროვმა (12 თეთ. და 7 შავ.) დეპუტატის თანამდებობაზედ: ი. შანშიაშვილმა (18 თეთრი და 1 შავი) და ლ. ს. გურგენბეგოვმა (13 თეთ. და 6 შ.) სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლობის თანამდებობაზედ: თავ. ი. ი. შალიკაშვილმა (12 თეთ. და 1 შავი), თავ. ს. დ. ანდრონიკაშვილმა (11 თეთრი და 2 შავი), თავ. მ. რ. ვაჩნაძემ (10 თეთ. და 3 შავი.) დეპუტატის თანამდებობაზედ: თავ. ს. დ. ანდრონიკაშვილმა (12 თეთ. და 12 შავ.) და თავ. დ. მ. ჩოლოყაშვილმა (10 თეთ. და 3 შ.) დეპუტატის საკრებულო მდივნად ერთხმად ამორჩეულ იქმნა ისევ ზ. დ. ასლამაზოვი.

⁂ **ახალი დანიშნულება.** გორის მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელ შუამავლად გარდაცვალებულის თავ. გიორგი ციციშვილის მაგივრად, როგორც ამბობენ, დანიშნულ იქმნება სამსახურს გარეშე მყოფი ღენერალ-მაიორი თავადი გ. ი. თარხან-მოურავი. (ტფილისის სა ადგილ მამულო ბანკის წევრად ნამყოფი).

⁂ **საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსების გამო ტფილისში.** ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს წარუდგენია ბ. ტფილისის გუბერნატორისათვის სასკოლო კომისიის მოსაზრება საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ ქ. ტფილისში.

⁂ **ტფილისის საერო ბიბლიოთეკის გამო.** ბ. მთავარ-მართებლის კანცელარიას მოუთხოვნია ტფილისის გუბერნატორისაგან მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა დროს უნდა იქმნეს ბიბლიოთეკა გაღებული ხალხისათვის.

⁂ **უბედური შემთხვევა ციმბირის რკინის გზაზე.** სადგურთ ომსკსა და ჩელიაბინსკს შუა შემდეგი უბედურება მომხდარა: გზაზედ მატარებლის ერთს «საპიტიო ვაგონს“ ცეცხლი წაკიდებია; სხვა მოგზაურთა შორის იქ ყოფილა იმ დროს ერთი ქართველი—პოლკოვნიკი თაყაიშვილი, რომელსაც ცეცხლის ქრობის დროს საკმაოდ მძიმედ დაუწვავს ხელები და სხვა ჭრილობაც მიუღია:

⁂ **დამრჩვალ ჯარის კაცთა პოვნა.** იმ 19 ჯარის-კაცთაგან, რომელნიც ტფილისში 29 მაისს ნიაღვარის დროს დაირჩვნენ—ხუთის ცხედარი უკვე უპოვნიათ 31 მაისს და დაუკრძალავთ სამხედრო სასაფლაოზე ბ. მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის თანადასწრებით.

⁂ **ტფილისის ოლქის სასამართლოს** დროებითი განყოფილება წელს შემოდგომაზე შემდეგ დაბა-სოფლებში გაემგზავრება სისხლის სამართლის საქმეების განსახილველად: ქ. გორში—3 სექტემბრიდამ—2 ოქტომბრამდე, ქ. დუშეთში—2—4 სექტემბერს, ქ. ახალციხეში—25 სექტემბრიდამ 3 ოქტომბრამდე, ქ. ახალ-ქალაქში—6—9 ოქტომბერს და ქ. ქ. თელავში, სიღნაღში და ზაქათალაშიაც ოქტომბერში გაემგზავრება ოლქის სასამართლოს განყოფილება, ხოლო დღეები ჯერ არა აქვთ აღნიშნული.

⁂ **ქალაქის გამგეობის განკარგულება.** შავი ჭირის მოლოდინში სიწმინდის დასაცველად ქუჩა-მოედნების დასაგველად გამგეობას დაქირავებული ჰყავნდა ზედ-მეტი რაზმი მუშებისა. 1 ივნისიდამ ეგ რაზმი უკვე დაუთხოვნია გამგეობას, თუმცა ჯერ ჩვენის აზრით კიდევ საფრთხილოა. გამგეობა თავს იმით იმართლებს, რომ საშულება არა აქვს ქალაქსაო. ახირებულია, ღმერთმა გვაშოროს, და ისევ რომ საშიშო შეიქმნეს—ნეტავი მაშინ რასღა შვრებიან? ან არა და შავი ჭირის ხსენებაც რომ არ იყოს, განა ჩვენ-კი გვაწყენს მეტი სიწმინდე?

⁂ **მოძღვრის დაჯილდოვება მრევლისაგან.** 29 მაისს, მამადავითობა დღეს, ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მრევლმა საქართველოს ექსარხოსის ვლადიმირის ნება-რთვით და ლოცვა-კურთხევით ძვირფასის თვლებით მორთული გულის-ჯვარი მიართვა თავიანთს მოძღვარს მამა დავით იანქოშვილს. ამ დროს მისი მრევლი ბევრი დაესწრო და ერთმა მათგანმა დაახლოვებით შემდეგი სიტყვა უთხრა მღვდელს რუსულად: მამაო დავით! გულით გილოცავთ როგორც მე, აგრეთვე მრევლიც, დღევანდელს თქვენის ანგელოზის დღეს. თქვენმა სამის წლის მოღვაწეობამ ჩვენს შორის გაგვაბედვინა ჩვენ, მრევლთ, მოგართვათ ეს მცირედი სახსოვარი. თუ არ თქვენი მხნე და დაუღალავი მეცადინეობა, ჩვენ კარგა ხნობამდის ეკკლესიის აშენებას ვერ ვეღირსებოდით და ეხლა კი, დღეს თუ ხვალ, იგი სრულებით დამთავრებული იქნება. თუ არ თქვენ, ჩვენ არ გვეყოლებოდა საეკკლესიო-სამრევლო სამზრუნველო, თქვენს მოსვლამდის ამ მრევლს არ გაუგონია არც ერთი აღსნილი ღვთის სიტყვა და ქადაგება. თქვენმა მუდმივმა ქადაგებამ ისე შეაჩვია მრევლი ეკკლესიას, რომ პატარა ეკკლესიაში ვეღარ ეტევიან და იქნება მომეტებულად ეს არის მიზეზი, რომ მრევლმა მოინდომა უეჭველად მოზრდილი ეკკლესიის აშენება, თქვენი კეთილი დარიგება, ყურადღება ღარიბებისადმი და თავ-მდაბლობა, ეკკლესიის სიფაქიზე და სისუფთავე—ყველა ეს მრევლისათვის ძვირფასი განძია და ამიტომ ნურავის გაუკვირდება, რომ ჩვენ, ეს მცირედი მრევლი, ვაფასებთ თქვენს შრომას. ამაზე მღვდელმა იანქოშვილმა უპასუხა, რომ მე მაგდენი ქების ღირსი არა ვარო, მხოლოდ თუ რასმე ვსცდილობ და ვაკეთებ, ამას ჩემს და ყოველის მოძღვრის მოვალეობადა ვსთვლიო. იმედი მაქვს, ღვთის შეწევნითა და თქვენის დახმარებით, ეკკლესიას დავამთავრებთ და სულ მცირე ხნის განმავლობაში სამრევლო სკოლასაც დავაარსებთო.

ჯვარზე იესო ქრისტეა გამოქანდაკებული, მხოლოდ მეორე მხარეზედ აწერია: სამის წლის სამაგალითო სამსახურისათვის ავლაბრის მთავარ-ანგელოზის მრევლისაგან მამა დავით იანქოშვილს, ნიშნად განსაკუთრებულის პატივისცემისა 29 მაისს, 1897 წელს.

ამგვარი ჯვარი, მრევლისაგან მირთმეული, თბილისში ეხლა მხოლოდ ორთა აქვთ: სამხედრო ტაძრის მოძღვარს მამა ვინოგრადოვს და ზემოხსენებულს მ. დავით იანქოშვილს.

⁂ **ახირებული ურა.** ამას წინად ერთი მანდილოსანი შესულა „მუ მავალის“ მაღაზიაში, ჩალის ქუდე ძალიან მოსწონებია და დაუწყ ამორჩევა. ლაპარაკში, სხვათა შო რის, უკითხავს: საიდან მოგივიდ ეს ქუდებიო. სამარიდგან *), ბატო ნო, უპასუხა პატარა ბიჭმა;—არ შვილო, სამარიდგან გამოწერილს არას ვიყიდი თავისს დღეშიო.

⁂ **დარჩობას გადარჩენა.** გუშინ წინ, ნაშუადღევს, ერთი ბიჭი, რო მელიც იქნებოდა ესე ოცის წლის, ძველის თეატრის მახლობლად ცხ ნით მტკვარში შესულიყო და ის ღრმად წასულიყო წინ, რომ მტკვარ მოეტაცნა. მაგრამ როცა ძირს წა ლო, ლონდონის სასტუმროს წყალი მილს მოსჭიდებოდა. მაშინვე თოკ ბი ჩაუგდეს, მოებღაუჭა და ისე გ დაარჩინეს დარჩობას.

⁂ **ახალი ქართული წიგნი.** დ დი ხანი კი არა არის მას შემდე რაც ვოცნებობდით სამეცნიერო ლი ტერატურის შექმნისათვის. ურ მუნო თომები ამასაც-კი გაიძახო ნენ, ქართულს ენაზე სამეცნიერ ლიტერატურა ფეხს ვერ მოიკიდე სო, ქართული ენა იმდენად განუვ თარებელია, იმდენად ღარიბია მეც ნიერულის ტერმინებით, რომ ენით მოთხრობილა თუ დაიწერ ბაო. პირადებით ყველა ამას იძახ და ამ ნაკლულევანების თავიდამ ა დენას არავინა ცდილობდა. მას აქე საკმაო რიცხვი დაიბეჭდა სამეცნი რო წიგნაკებისა. ხოლო «მოამბეში დასტამბულმა კაპიტალურმა შრომ ჩვენის პროფესორისა. ვას. პეტრი შვილისამ მეღვინეობაზე გულს იმ დი ჩაგვისახა, ყოველი იჭვი მომავ ლზე გაგვიქარწყლა. „ღვინის დაყ ნებას“ მეორე კაპიტალური შრომ მოჰყვა იმავე ავტორისა—„რძე მეორეს—მესამე. ეს გახლავთ „ვ ზი, მისი მოშენება და მოვლა ეს თხზულება სამეურნეო გ ზეთ ,,მეურნეში'' იბეჭდება

---

*) ქალაქი „სამარა“ რუსეთშია მდინა ვოლგაზე.

---

### ზ. ჩხიკვაძის „სალამურის“ გამო.

—

ვიღებთ რა კალამს ხელში, უწინარეს ყოვლისა დავარწმუნებთ მკითხველებს, რომ ასე ვიქცევით არა წერის ქავილის ზედ-გავლენით, არამედ საგნის დიდ მნიშვნელობის გამო, რომლის გარკვევა მაშინ უფრო არის საიმედო, როცა არა ერთი აზრი გამოითქმის. ნურავინ იფიქრებს, რომ ვისიმე გათახსირება, ან გუნდრუკის კმევა გვინდოდეს; ჩვენ ვუკმევთ გუნდრუკს თვით საქმეს და გულითადი პატივის-ცემა და სიყვარული მისადმი გვაბედვინებს ამ შენიშვნის დაწერვას.

საგნად ჩვენის წერილისა ავიღეთ ამ ახლო ხანებში ბ-ნ ზ. ჩხიკვაძის მიერ გამოცემული კრებული ხალხურის სიმღერებისა „სალამური“, რომელიც შეიცავს 35 სიმღერას და რომლის შესახებ გაზეთი «ცნობის ფურცელი“ სთხოვდა წარმოეთქვათ აზრი იმაზე, თუ რამდენად დაცულია ამ კრებულში მუსიკალური შინაარსი გადაღებულის სიმღერებისა. ამ კრებულის პირველ ნაწილში რამდენისამე სიმღერის სიავ-კარგე გასინჯული იყო ბ-ნ ი. კარგარეთელის მიერ „ნოვ. ობოზ.“-ს 1890 №-ში, მაშასადამე, ამ სიმღერების შესახებ ჩვენ აღარას ვიტყვით. ჩვენ გავარჩევთ რამდენისამე სიმღერის სიავ-კარგეს და ვეცდებით სწორი და პირუთვნელი აზრი გამოვთქვათ მათს შესახებ, მით უფრო, რომ ზოგიერთი სიმღერები ამ კრებულისა კახურია და დანარჩენიც ხშირად გვესმის. მაგრამ, ვიდრე გარჩევაზე გადავიდოდეთ, არ შეგვიძლიან ორიოდე სიტყვა არ ვსთქვათ თვით ხალხურ სიმღერების მნიშვნელობის შესახებ.

ჩვენის აზრით, შრომის მიზანი ბ. ზ. ჩხიკვაძისა არის მეტად პატიოსნური და დიდ მნიშვნელოვანი. ნოტებით აღდგენა ძველის სიმღერებისა, რომლებიც თან-და-თან ჰქრება ჩვენს შორის და რომლების ადგილს იჭერენ ათასნაირ ოპერებიდან ამოგლეჯილი, მახინჯ-დუხჭირი მოტივები, რასაკვირველია, სანაქებოა და სასარგებლოც; მაგრამ, ამასთანავე, აქვე უნდა აღვიაროთ, რომ ამ განზრახვას მთლად ეკარგება თავისი კეთილი ელფერი, თუ სურვილი სათანადოდ არ არის შესრულებული.

ხალხური სიმღერა—ფსიხოლოგიაა თვით ხალხისა, სხივ-ნართი ისტორია—ხალხის ამა თუ იმ ყოფისა, ენამეტყველი—გამომხატველია ხალხის ნეტარება ვაებისა. როგორათაც ზეპირ-გარდმოცემანი, ზღაპრები და არაკები, გვიჩვენებენ სურვილებს, მისწრაფებას ხალხის გენიას,—აგრეთვეა სიმღერები და ნოტებით მათს აღდგენას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც იგი სიმღერები იმავე სისწორით არიან გადაღებულნი, როგორათაც ხალხის გენიას წარმოუშობავს.

აილოს ხალხურის სიმღერიდამ ტემა და ჩაურთოს რომელმამე კერძო პირმა თავისს მხრით (фантазія). ეს არის გადაგვარება. ბ-ნ ზ. ჩხიკვაძის მიერ გადაღებული სიმღერები, ბევრგან თხოულობენ შნოს მისაცემ ნიშნებს კილოს გასამშვენიერებლად, (мелисматическія украшенія) და ხელოვნურად ხასიათის დასურათებას, რომელნიც არა გვხვდებიან.

სიმღერა № 14 „მკის დროს როცა ნამგლებს ლესვენ“... გადაჭრით ვიტყვი, რომ ამ კილოს კახეთის არც ერთის კუთხის ხალხი ნამგლების ლესვის დროს არა მღერის, რადგანაც ლესვის დროს სულ სხვა კილოსა მღერიან. ბ ნ ზ. ჩხიკვაძის გადაღებული სიმღერა-კი ყოველს შემთხვევაში იმღერება და არ არის მაჩვენებელი მუშაობის ამა თუ იმ დარგისა. ამას გარდა, თვით სიმღერა წესიერად როდია გადაღებული ნოტებზე. თვით ნოტების ზოგის ზომიანობა და ზოგის უზომობა წარმოადგენს კილოს უხეირობას. მეორე ტაქტში *) არის „фа“—მეოთხედი წერტილით და „соль“ მერვედი, მაშინ, როდესაც „фа“-ც და „соль“-ც მეოთხედები უნდა იყოს, ამას თხოულობს კილო. არ ვიცი, რად დაჰვიწყებია, რომ მეორესა და მეექვსე ტაქტს ამ კილოსას დამოკიდებულება აქვთ... ამ სიმღერის პირველი ოთხი ტაქტი არის ტემა, ე. ი. ისეთი მუსიკალური „თხზულება“, რომელიც დაედვის საფუძვლად კილოს (мотивъ), წინადადებას (предложеніе), განყოფილებას (отдѣлъ) და ხანას (періодъ). დანარჩენი ტაქტები-კი გამომდინარეობენ იმ „თხზულებიდან“ და ამათ ჰქვიანთ ტემატიური ტაქტები (тематическіе). ეს სიმღერა იმ თვისებისაა, რომ როგორც ტემის ტაქტსა, აგრეთვე ტემატიურსაც ერთი და იგივე ზომა უნდა ჰქონდეთ. ბ-ნ ჩხიკვაძეს-კი ეს არ გადაუღია; სხვა და სხვაა ზომა მეორე და მეექვსე ტაქტებისა, რითაც დამახინჯებულ კილო. ხმოვანი ნოტები წესიერ არა გვხვდება, რომელზედაც არ დამოკიდებული ტაქტების სწორ დაყოფაც, იმის წარწერა „დინჯად იც თავისუფლად ვეღარ ასრულ მოვალეობას და ყველა ამ მიზეზ სა გამო დამახინჯებულია მელოდია.

სიმღერა № 15 „იავნანა“ ( რადაა?) ეს სიმღერა „ნანაა“ და ა „იავნანა“. აქაც ტონიცა და ზომ არ შეეფერება კილოს, შეიცვა კანონიერება რითმისაც, რომელზ დაც დამყარებულია მელოდია. შინ, როდესაც აქ დამწყობს ხმ მეტად მელოდიური მნიშვნელო უნდა ჰქონდეს, არ მიუქცევია ყ რადღება „легато“-სთვის. ეს ნიშ ნი ამ სიმღერაში უადგილო ადგ ლას გვხვდება, ზოგან კიდევ არ ზის, ამასთან, გადაბმულია ნოტებ უხეიროდ, «штрыхоми», რისთვისაც ამათ გამო სიტყვის მარცვლები უწ რში ეჩოთირება კაცს.

სიმღერა № 18 «მერცხალი». არც ეს არის დაწერილი შესაფერს ტონ ზედ, რის გამოც გამოცვლილია მე ლოდია... და სხვანი.

სიმღერა № 22 «მიყვარს ფაცხაწესიერს ტონზედ არ იწყობს, პირ

---

*) მუსიკალურს ტერმინებს ჩვენ არ ვსთარგმნით.
ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ეტყობა, კარგა ხანს არ გათავდება. ,,მეურნის‘‘ რედაქციას ახლა ერთი ნაწილი პირველ წიგნაკად დაუბეჭდნია ხელმისაწვდომ ფასად—სამ კაპეიკად. 32 გვერდიან წიგნზე ვერავინ იტყვის, ეს ფასი ბევრიაო. წიგნი გამოცემულია ,,იაფფასიან სამეურნეო წიგნების თანხის“ საფასითა, რომელიც ,,მეურნის“ რედაქციასთან არის დაარსებული და რომლის შემწეობით, შეძლებისა-დაგვარად, სხვა სამეურნეო წიგნაკებიც იბეჭდება ხელმისაწვდომ ფასად. თქმა არ უნდა, ჩვენი მეურნეები, მოკლებულნი ასეთს სასარგებლო წიგნებს, დაეშურებიან შეიძინონ ზემო დასახელებული წიგნი იმ სასარგებლო მცენარის შესახებ, როგორიც არის ქართველებისათვის ვაზი.

⁂ **წლიური გამოცდა ნავთლუღის სამრევლო სკოლის მოწაფეებისა.** 23 მაისს გამოცდა იყო ნავთლუღის სამრევლო სკოლის მოწაფეებისა. გამოცდას დაესწრნენ: სასულიერო სემინარიის ინსპექტორი მამა გერმოგენი და ტფილისის საეპარქიო სკოლების ზედამხედველი ნ. ტატიშვილი. საზოგადოდ ყველა მოწაფეებმა თავი იჩინეს. მათმა თამამმა, შეგნებულმა სიტყვა-პასუხმა ყველანი მოჰხიბლა. წარმატება ეტყობოდათ, როგორც ქართულისა, ისე რუსულის ენის შესწავლაში. მამა გერმოგენმა და ბ-ნმა ნ. ტატიშვილმა მადლობა უთხრეს, როგორც გამგეს ამ სკოლისას მამა იოსებ ჩიჯავაძეს, ისე მასწავლებელ ქალს ანნა ხახუტაშვილისას ნაკისრ მოვალეობის სინიდისიერად ასრულებისათვის.

⁂ **ქ. კიევი. უნივერსიტეტში კურს დამთავრებული ქართველები.** წლეულ აქაურს უნივერსიტეტში კურსი 7-მა ქართველმა გაათავა. მოგვყავს კურს დამთავრებულთა გვარებიცა: ალ. ბეთანიშვილი, გ. ჯორჯიკია, ნ. ხუნდაძე, სვ. გოგიტიძე, ეპიფანე შენგელია (საექიმო ფაკულტეტი), შიო ჩიტაძე (ისტორიკოფილოლოგიური ფაკულტეტი) და პროკოფი ჩხენკელი (იურიდიული ფაკულტეტი). მათს შორის შიო ჩიტაძემ ჩინებულად გაათავა უნივერსიტეტი, და უნივერსიტეტის მთავრობას განზრახვა აქვს უნივერსიტეტშივე დასტოვოს, რათა პროფესორის კათედრა დააჭერინოს.

⁂ **სოფ. ჭალა.** (ქუთ. მაზრა). **ხელით მგლის დაჭერა.** ქუთაისის მახლობლად ვინმე ტურაბელიძეს დუქანი აქვს გამართული. ამ დუქანში ამ ორის კვირის წინად ღამით როგორღაც დამშეული მგელი შემოვარდნილა. დუქნის პატრონს ჯერ ძაღლი ჰგონებოდა. მაგრამ მაინც წაუვლია უკანა ფეხში ხელი, მერე კისერში სწვდა, თურმე. ამასობაში ცოლმაც მოაშურა სამთლით. ტურაბანიძე სულ რომ დარწმუნდა, მგელიაო, უფრო მაგრა დაავლო ხელი მგელს. ცოლმა თოკი მოუტანა და იმანაც კისერზე მოაბა და კუთხეში მიამაგრა. სთქვა, წავალ და ქუთაისიდგან ჯაჭვს მოვიტანო. მაგრამ სანამ ის ჯაჭვს მოიტანდა, მგელს თოკი გაუხრავს და ტყეში გაქცეულა კისერზე თოკ-მობმული. ბევრი ივიშვიშა შემთხვევითმა გმირმა, მაგრამ გვიან იყო

⁂ **ბათუმი. სავაჭრო ამხანაგობა.** „ცნობის ფურცლის“ მე-210 №-ში წავიკითხეთ წერილი ბ-ნ „გლეხი ერმალოზ გოგოლეისუბნელი“ სა, რომლის გულ-წრფელ რჩევას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ბათომში მცხოვრებ ქართველობამ და იმ გვარი სასარგებლო ამხანაგობის დაარსების სურვილი მარტო „სურვილად“ არ უნდა დავსტოვოთ, როგორც ჩვეულებათ გვაქვს ხოლმე ქართველებს. არამედ რაც შეიძლება მალე დაუყონებლივ შეუდგეთ წესდების შემუშავებას და საქმის განხორციელებას; თორემ, თუ ერთხელ მიიძინა და უყურადღებოდ დარჩა, ეს საქმე მერმე იმის ფეხზე წამოსაყენებლად ორჯელ მეტი შრომა იქნება საჭირო, რაც ეხლა, როდესაც ახალი აზრია და ყველა სიამოვნებით იყიდის ამხანაგობის საწევრო პაის.

ბათომელი.

⁂ **ქუთაისი. საქველ-მოქმედო წარმოდგენის ანგარიში.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ ქუთაისში 18 მაისს გამართული წარმოდგენის ანგარიში.

წარმოდგენილი იყო გუცკოვის დრამა „ურიელაკოსტა“. გაყიდულ ბილეთებიდამ შემოვიდა 343 მ. 15 კ. დაიხარჯა: თეატრის ქირა, სასყიდელი მოთამაშეებს და სხვა 269 მ. 30 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 73 მ. 85 კ., რომელიც გადაიდო სამეგრელოს ს. ბანძის წიგნთ-საცავის და სამკითხველოს დასაარსებელ ფონდისათვის.

⁂ **სად. ქურდამირი.** (კავკასიის რკინის გზა). **უწესოება ბუფეტში.** ამ სადგურის დარბაზში გამართულია მგზავრთათვის ბუფეტი. ბუფეტი იჯარით აქვს აღებული ბ-ნს პ—ას, რომელიც ძალიან ცუდად ინახავს: მგზავრს არ შეუძლია სურვილისამებრ ან საუზმე იშოვოს, ან სასმელი. ამასთან, მებუფეტე მეტად უდიერად ეპყრობა თავისს მოსამსახურეებს. საჭიროა, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

⁂ **ს. ტყაჩი.** (იმერეთი). **საზიზღარი მკვლელობა.** 24 მაისს ამ სოფელში ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა: ადგილობრივი მცხოვრებთაგანი გლეხი ლუკა ჩხობაძე მიეპარა ძილის დროს თავის სიძეს ლუარსაბ სვანაძეს, დაჰკრა გალესილი წალდი საფეთქელში და იქავე სული გააფრთხობინა. მიზეზი ამ საზიზღარის მკვლელობისა, თურმე, დავა ყოფილა საზიარო ადგილის გამო, რომელიც, მიჯვნის დროს, განსვენებულმა თავის საკუთრებად უჩვენა ხაზინის ვექილს. მკვლელი მაშინვე შეიპყრო ადგილობრივმა მამასახლისმა და უბნის ბოქაულთან გაგზავნა.

საზოგადოდ ბოროტ-მოქმედება, ძარცვა-გლეჯა და ქურდობა ხშირად ხდება მოხსენებულ სოფელში: ურიგო არ იქნებოდა რომ ადგილობრივ მღვდელს, რომელიც ზნეობრივად მოვალეა შესაფერი დარიგება მისცეს ხალხს, უქადაგოს და დააყენოს თავისი სამწყსო ჭეშმარიტ გზაზედ.. როცა ერთის მხრით სულიერი მამა და მეორეს მხრით ადგილობრივი მოხელენი ერთად იღვწიან ერისათვის, მაშინ არც ავკაცობა მოხდება ხოლმე ესე ხშირად.

ვ. ობჩელი.

⁂ **დ. აბაშა.** (სამეგრელო) **აბრეშუმის მოსავალი.** აქაურმა მანდილოსნებმა და ქალებმა თავის შრომით და მეცადინეობით აგერ რამდენიმე წელიწადია, თავი ისახელეს აბრეშუმის მოყვანით და მრავალი სხვა და-სხვა დარაიების ქსოვით. სწორეთ ქების ღირსნი არიან აქაური ქალები ასეთი შრომისთვის და ქმრის ხარჯის შემსუბუქებისთვის; თითო ქალი ისე არ არის, რომ ათი თხუთმეტი მანეთის აბრეშუმი არ გაყიდოს წელიწადში; ბევრს ნიშნავს ოჯახისთვის საწვრილმანო მოთხოვნილებისთვის ქმრები რომ არ შეაწუხონ მანდილოსნებმა. მაგრამ წრეულს აბრეშუმს ძალიანი ცუდი დრო დაუდგა: არ იცის კაცმა, გაზაფხულის თვეებში სასტიკი სიცივების ბრალია, თუ თესლის უვარგისობისა, რომ ასეთი ნაკლები მოსავალია აბრეშუმისა. დაბა აბაშაში ოთხ-ხუთ ალაგას არის მაღაზიები გამართული, სადაც ყიდულობენ პარკათ აბრეშუმს. ეს მაღაზიები ზოგი აქაური ვაჭრების ამხანაგობით არის გამართული, ხოლო დანარჩენი გარდმოხვეწილი სომხები არიან და ყიდულობენ. ჩვენში ამხანაგობის გამართვას, როგორიც გურიაში და ხონში არის, მგონი არც მეოცე საუკუნეში მოესწრობა კაცი; ამისთანა საქმის მოთავე და საზოგადოებაზე გულ-შემატკივარი კაცი უნდა, რათა ჩარჩებს არ ჩაუვარდეს ხელში ჩვენი ნაწარმოები, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ისეთი მოთავე არავინა გვყავს... წრეულს პარკს შარშანდელზე უფრო მეტ ფასში ყიდულობენ, გირვანქას ხუთ შაურათ. აგერ ორი წელიწადია მანდილოსნებმა თითქმის აჯობეს მამა-კაცებს მოსავლის მოყვანაში. მამა-კაცისაგან ოჯახის მრჩენელი სიმინდი შემოდიოდა, თუმცა-ღა ისინიც მხნეთ მუშაობენ, მაგრამ ბუნება ლალატობს: ხან უწვიმობა და ხან წყალ-დიდობა, რომლისაგან ძალიან შეფერხებულია სიმინდის საქმე აქეთ სამეგრელოში. მანდილოსნებსაც წრეულს აბრეშუმის შესახებ ნამკიანი წელი დაუდგა, მაგრამ არც სულ ხელ-ცარიელნი არიან, თავისი შრომის ნაყოფს ყოველდღე ხედავთ ურმით თუ კალათით მოაქვთ დანიშნულ ალაგას გასასყიდად. აქეთ უწვიმობისაგან ძალიან შეწუხებულია ხალხი აგერ ერთი თვეა, რაც წვიმას ვერ ვეღირსეთ, თუმცა ძრიელ საჭიროა.

ბან-დონ.

⁂ **ს. წკადისი.** (რაჭა) **დახეთქილი ეკლესიის შემაგრება.** ამა წლის ,,ცნობის ფურცლის‘‘ №-73-ში იყო დაბეჭდილი ცნობა ს. წკადისის წმ. გიორგის ეკლესიის აშენებისა და დანგრევის შესახებ. ხსენებული წკადისის ეკლესია დაზიანებიდგან დღემდე იყო გაუქმებული, რადგან კედლები დახეთქილი ჰქონდა. ეხლა მიჩნეულ ზედამხედველებმა შეაგონეს მცხოვრებლებთ და ურჩიეს, ეკლესიის დანგრეული ადგილები შევკრათ ხის სარტყლითო. ვითომ ამაზედ დასთანხმდნენ საწყალი გლეხები და ეხლა აპირობენ ამ ეკლესიის ნანგრევების ჩაკერებას და ხის სარტყლით შეკვრას... ნეტა ვინმე მადლიანი აღმოჩნდებოდეს და ეტყოდეს იმ დალოცვილ ზედამხედველებს, რომ ეკლესიას-კი არა სარტყელი და ისიც ხისა, კაცსაც ვერ უძლებს და რას ეგვანება ამ რიგად შემაგრებული ეკლესია. განა ის-კი არ ეყოთ, რომ ეკლესია ურიგოდ ააშენეს, ეხლა რომ მაინც რიგიანად გადააკეთონ და გაამაგრონ. კარგი იქნება ვინმე გამოჩნდებოდეს ჩვენს პატრონად და მზრუნველად!..

ლუკა კ—ძე.

⁂ **ხონი.** (ქვემო იმერეთი) **მეხით მოკლული.** 26-ს მაისს, ს. მათხონჯის მინდორზე, მიემგზავრებოდა ქარხნის მუშა ლუკა გეგეჭკორი სამეგრელოში ორის ამხანაგით, ამ დროს საშინელი კოკის პირული

---

ველ ტაქტს იწყობს «ля»-ზედ, მესამეს «соль»-ზედ, მაშინ, როდესაც ორივე ერთ ტონზედ «соль»-ზედ უნდა იწყებოდეს, დამწყობს ამ სიმღერისას არა აქვს შესაფერი ზომა; თვით ნოტები შეუფერებლები არიან ზომით. აქაც ხმოვანი ნოტები (тезиси), თავის ალაგას არ არიან, საიდგანაც წარმოსდგა უხერხული დაყოფა ტაქტებად, ამის გამო არ არის კანონიერი ტემპი და ყველა ამის შედეგია სიმახინჯე მელოდიისა. სიმღერის ტემპის ნამდვილ განსამარტებლად, არ უსარგებლნია სხვა-და-სხვა გამოთქმებიდგან (выроженія). იგინივე ასურათებენ ხასიათს ამა თუ იმ მიმოხვრისას, „ფაცხაში“ ეს ნიშნები აუცილებლად საჭირონი არიან, რადგანაც იგი „ფაცხა“ და საზოგადოდ ყველა გურულ-მეგრული და იმერული სიმღერები ძირითადად განსხვავდებიან კახურ-ქართლურ კილოდგან. ბანი თავის დროს არ უერთდება პირველსა მეორეს, რადგანაც იგი უნდა შეუერთდეს არა მეშვიდესთან, არამედ მეექვსესთან, იმიტომ რომ მუსიკალური შინაარსი (тема), ხუთის ტაქტით განსაზღვრულა. მეორე ხმაც ულაგოდ იწყებს და ულაგო ალაგას ჩუმდება, რის გამოც წარმოსდგება უკანონობა სამხმოვანობაში (трезвучіе). სიმღერა № 25 „ნანინა“ (იმერული)... ამ სიმღერას ეტყობა, რომ მის გადამღებს იგი რიგიანად არ მოუსმენია. არც ერთი სოფლელი ასეთს ბანს არ ეტყვის. არც შეფერებული ბოლო აქვს, რომელზედაც სამივე ხმა ათავებენ „фа“-ზედ. უნდა იყოს „ля“ პირველი ხმისათვის, „ре“ მეორისთვის და ბანისთვის. ეს კილო არის (гомофонное сочиненіе) ისეთი „თხზულება“, რომელშიაც ერთ ხმასა აქვს მელოდიური მნიშვნელობა და სხვა ხმები ჰარმონიულად აშვენებენ ერთსა და იმავე დროს, (гармоническій подерживають—акордь), სწორედ იმ ხმისთვის, რომელსაც მელოდიური მნიშვნელობა აქვს, წაურთმევია მელოდიის ელემენტები და ყველა ხმათათვის გაუნაწილებია, რაც სრულებით საჭირო არ იყო და არც კანონია. აქ იკარგება სამხმოვანობის სისრულეც. რა საჭიროა ბანი „соль“-ზედ იწყობს, „ре“-ზედ უფრო სამართლიანი და ტკბილი იქნებოდა, როგორც ხშირადაც გაგვიგონია. ერთის სიტყვით, არც ერთი ხმა ამ სიმღერისა ნამდვილი და კანონიერი არ არის.

სიმღერებს № 24 და № 30 პირველი „ვაი შენ ჩემო თეთრო ბატო“-ს და მეორეს «ღმერთო, ღმერთო მოწყალეო»-ს პირველს აწერია „დინჯი“. მეორეს—„წყნარი“; ეხლა აღარ მესმის ამ ორის სიტყვის მნიშვნელობა. ამიტომ, ლათინური ტერმინი უნდა, თორემ ეს ორი სიტყვა გვერევა, ვერ გვიმარტავენ თავიანთ მნიშვნელობას, რაც საჭიროა ტემპისათვის. თუმცა ვიცით, რომ ნოტები თავისის ზომით, ზოგი გრძელია და ზოგი მოკლე, მაგრამ ეს მაინც არ გვიმარტავს ზომას; ამისათვის არის სხვა-და-სხვანაირი გამოთქმა ზომის განსამარტებლად. № 24 ძალიან დაბალ ტონზეა დაწერილი. გადაღების დროს საჭირო ყურადღება არ მიუქცევია ხმების შეთანხმებისათვის, თვით ხმის ძლიერებისათვის, არც თავის კილოზეა. სიტყვებისა და ნოტების მიმოხვრა უადგილოა, რომელიც ყურს ეჩოთირება. № 24-ის ბოლო, რომელსაც მეორედ უბრუნდება, ასე ეგონება ადამიანს, ამისი არ არისო, რისგანაც წარმოსდგება მოტივის და მელოდიის დამახინჯებაც. არ არის ნაჩვენები, ამ სიმღერებს სად მღერიან, რის გამოც ათასნაირ ეჭვში შედის კაცი. ამ ორს სიმღერას № 24 და № 30 აღარ მღერიან რიგიანად კახეთში; თუ მღერიან, გადაგვარებულად.

ვის არ გაუგია გამოჩენილი მომღერლები, რომლის სახელებიც გათქმულია, არამც თუ კახეთსა და ქიზიყში, აგრედვე სხვაგანაც—თავ. ბიგა მაყაშვილისა, თავ. ტ. მაყაშვილისა, თავ. შ. ჩოლოყაშვილისა, ნ. კოზმანიშვილისა, ს. კოზმანიშვილისა, მიხა მელვინეთ-ხუცესისა და პ. სულხანიშვილისა (ეს უკანასკნელი მამაჩემი გახლდათ) ყველა ესენი იყვნენ და არიან 60—70 წლამდე, ამათში ცოცხლები ორნი-ღა არიან: თ-დ შ. ჩოლოყაშვილი და ს. კოზმანიშვილი, დანარჩენნი დიდი ხანი არ არის, რაც დაიხოცნენ; საუბედუროდ მხოლოდ ორი კაცი-ღა დაგვრჩომია მართლა და მცოდნე ლხინისა. ეს ზემოთ ჩამოთვლილები რომ „ლხინს“ (საზოგადოდ „ლხინი“ ერქვა იმ სიმღერებს, რომლებსაც სუფრაზედ მორიგად ამბობდნენ. „ლხინი“ დაიწყებოდა გრძელი „მრავალ ჟამიერ“-ით და თავდებოდა „ძილის პირებით“ ან „დიდი ნანათი“.) დაიწყობდნენ, ადამიანი სმენად უნდა გადაქცეულიყო. ხშირად შეიყრიდნენ ხოლმე თავს მამიჩემის სახლში მოსალხენად და მრავალჯერ მომისმენია იმათგან კახურ-ქართლური სიმღერები, რომელთა შორის ძალიან ცოტა-ღა შეგვრჩა, ისიც გადაგვარებული, როგორც № 24 № 30. მე ეს სიმღერები იმათგან „ლხინი“-ს დროს სავსებით გამიგონია; ეხლა-კი „სალამურში“ მარტო ტემის ნაწილებია აღებული იმ სიმღერებისა.

ჩვენ, დანარჩენ სიმღერების სიავკარგე, თუ რამდენად მართალნი არიან ნოტებზედ გადაღებულნი, გაჩხრეკაში აღარ შევალთ, რადგან ჯერჯერობით ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებით ადვილად მიხვდება მკითხველი, თუ ბ-ნ ზ. ჩხიკვაძის-მიერ ახლად გამოცემული „სალამური“, ხალხურ სიმღერების კრებული რამდენად არ ასრულებს თავისს ნამდვილ დანიშნულებას.

ყოველი, გადამღებელი სიმღერებისა ნოტებზედ უნდა ეცადოს, ნამდვილი კილო იპოვოს ნამდვილ მომღერლისაგან, რომელიც უფრო სახელ განთქმულია სიმღერების ცოდნით საზოგადოებაში, თორემ ეხლანდელ დროში, თქვენი მტერი იყოს, როგორც კახური „ლხინი“ „ლხინი‘‘ აღარ არის და გადაგვარებულ-დასახიჩრებულია ათასისაგან.

ნ. სულხანიშვილი.

წვიმა და ნიაღვარი მოასკდა და თან მოჰყვა ელვა-ჭექა. როდესაც მგზავრნი შუა მინდორზე მივიდნენ მეხი დაეცა და ცეცხლი წაეკიდა. მიეშველნენ მგზავრები და ცეცხლზე წყალი დაასხეს, ეგებ მორჩესო, მაგრამ უბედურს სიკვდილმა მოუსწრო და იქვე გარდაიცვალა, რომელიც წაასვენეს სოფ. მაიდანში.

— **სამკითხველოს საქმე.** რაც რომ სოფლებში დავდივარ, ყველგან მესმის სამკითხველოს დაარსების საუბარი და დ. ხონს-კი არა ეშველა-რა. რითი გაიმართლებენ ხონელები თავს? ნუ თუ ისე ღარიბები არიან, რომ ვერ შესძლეს ერთი უფასო სამკითხველოს დაარსება? საქმეც ეგ არის, რომ სიმდიდრით ყველაზე წინ დგანან და დარწმუნებული ვარ, რომ მათთვის ეს საქმე სრულებით ადვილი რამ არის, მხოლოდ მოთავე არ მოეპოვებათ. რაც შეეხება ბ. წერეთლის წიგნთ-საცავს, ის ხონელებისათვის-კი არ არის, არამედ ბ. წერეთლის თანხას შეადგენს. ურიგო არ იქმნება ეხლა მაინც გამოიღვიძონ ხონელებმა და ითავონ ამ საჭირ-ბოროტო საქმის განხორციელება, რომელიც დიდს სარგებლობას მოუტანს აქაურებს, ვაჭრებს და მცხოვრებლებს.

⁂ **ს. კულაში.** (იმერეთი) **ურიების უბნის უსუფთაობა.** მეტად და ძალზე უსუფთაობად საშინელი ბინძურობაა სოფლებში, ურიების უბნისაგამო ან-კი რა სისუფთავე იქნება, როდესაც დაუბრკოლებლივ მოაქვთ დამპალი ტარანი ასე, რომ ბაზარში კაცს გავლა არ შეუძლია ისე შხამავს ჰაერს. ამ უსუფთაობას მთავრობისაგან დაყენებული სასანიტარო კომისია სრულებით ყურადღებას არ აქცევს. თუ დროზე არავინ ღონე არ იღონა ადვილი შესაძლებელია, რომ ხოლერა ან ჭირი გაჩნდეს. კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდეს ვისიც ჯერარს.

⁂ **ს. ვარისა.** (ქუთაისის მაზრა). **140 წლის მღვდელი.** ჩვენს სოფელში ამ ჟამად ერთი მათუსალა სცხოვრობს. ეს გახლავთ მღვდელი დ. გიორგაძე, 140 წლისა. დიდს ჟამობას (1809 წ.) მამა გეორგაძე უკვე ნაკურთხი ყოფილა. ყველაზე შესანიშნავი მამა გეორგაძის ცხოვრებაში ის გახლავსთ, რომ 90 წლისას კბილები მესამეჯერ ამოსვლია. კბილების მესამეჯერ ამოსვლა იშვიათი მოვლენაა. საექიმო მეცნიერებაში აღნიშნულია კბილების მესამეჯერ ამოსვლა, მაგრამ, როგორც იშვიათი რამ შემთხვევა. ბროლივით თეთრი კბილები მამა გიორგაძეს დღესაც აქვს უკლებლივ. ცოლი ამ ექვსის წლის წინად მოუკვდა თავისისავე ხნისა. შვილი არა ჰყავს და არცა ჰყოლია. თავის დღეში ავად არ გამხდარა. მშვენივრადა ჰხედავს, ჩინებულად ესმის. სხვის დაუხმარებლად დადის.

⁂ **ძველი ფულების პოვნა ს. ჭოდეგში,** (ქუთაისის მაზრა.) აფიცრის იზმაილ მესხის მამულში, თოხნის დროს შემთხვევით, წასწყდომიან ერთად მოქუჩებულს ძველს ვერცხლის ფულებს, რიცხვით ასამდე. ბ-ნ იზმაილ მესხმა სამიოდ ფული უკვე ჩამოიტანა ტფილისში საჩვენებლად. ეს ფული ვერცხლისაა, სიფართით ვერცხლის შაურიანის ოდენაა, მხოლოდ სიმსხო სამის შაურიანის ოდენა აქვს. ცალ მხარეს საკმაოდ მკაფიოდ, თუმცა ტლანქად გამოსახულია ქალის თავი, მეორე მხარეს— ხარის თავი. ცნობილმა ნუმიზმატიკოსმა სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მაგიერმა კავკასიაში ბ-ნმა მედვედევმაც ნახა ეს ფულები. მისის აზრით, ეგრედ წოდებული ,,კოლხიდური‘‘ უნდა იყოს. ზოგნი ამბობენ, ეს ფული ქართულია და ,,ხვასტაგი‘‘ ჰქვიან, რადგან ზედ ხარის თავია დახატულიო. საცა ეს ფულე`ი უპოვიათ, იქავე თიხის ჭურჭლის ნამტვრევებიც აღმოჩენილა. ასე რომ, უნდა ვიგულისხმოთ ქილით უნდა ყოფილიყო მიწაში დაფლული.

ბ-ნმა იზმაილ მესხმა სთქვა, რომ აქეთკენ ახლო-მახლო ბევრსა ჰპოულობენ სხვა-და-სხვა ნაირ ფულებსა, მაგრამ შინაურობაშივე ჰქრება, მეცნიერებისათვის დაკარგულიაო. მისსავე თქმით, ერთი გორაკიც არის, სადაც, ყოველ წვიმის შემდეგ მიწა ჩამოირეცხება თუ არა, ოქროს ფულებსა ჰპოულობენ. საჭიროა, ადგილობრივ შეგნებულ პირთ ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და რასმეს იპოვნიან თუ არა ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას‘‘ გამოუგზავნიდნენ.

ბ ნს იზ. მესხს განზრახვა აქვს, ქოლევში დაბრუნდება თუ არა, გულმოდგინეთ მიჰყოს ხელი თავისს მამულში ასეთს ძველ ნაშთთა ძებნას.

⁂ **საჩხერე.** (იმერეთი). **ცნობის მოყვარეთა დაკმაყოფილება.** ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მოვახსენო ბ. ,,სარეკელ‘‘ კორესპონდენტს, („ცნობის ფურცელი“ № 207), რომ მას როგორც ჟურნალ-გაზეთების ყოველდღე „მთვარიელებელს“, დარჩენია გადაუთვარიელებელი ამა წლის „კვალის“ 19 №-ში.

რადგანაც სოფელი სარეკი ზედვე აკრავს საჩხერეს, ამისათვის ვბედავ და უმორჩილესად ვთხოვ ბ. სარეკელს მობრძანდეს საჩხერის უფასო სამკითხველოში და მოითხოვოს ამა წლის ,,კვალის‘‘ 19 №-ი, რომლითაც, იმედია, დააკმაყოფილებს თავის ცნობის სურვილს კნ. ელ. წერეთლის მიერ შეკრებილს ფულების შესახებ.

საჩხერის უფასო სამკითხველოს გამგე ყ. ჩხეიძე.

## ქალაქის დამატებითი არჩევანები.

1 ივნისი.

ნაშუადღევის 1 საათზე „ტფილისის სობრანიის“ საზაფხულო სადგომში თავი მოიყარეს ქალაქის ამომრჩეველთა, რომ მომავალის ოთხის წლისათვის აერჩიათ ის რიცხვი ხმოსნებისა, რომელიც ვერ აირჩიეს 18 მაისის არჩევანებზე.

კენჭის ყრის დაწყების დროს სულ სამასამდე ამომრჩეველი იყო, მაგრამ მერმე თან და თან იმატეს და ბოლოს 550-მდე ამომრჩეველი იყო— 588 ხმით. სულ 77 პირს უნდა ეყარა კენჭი, მაგრამ ამათში 15 კაცმა უარი სთქვა, ხოლო 3 პირმა (ი. ი. მაიერი, თავ. გ. რ. ბეგთაბეგოვი და ა. გ. სერგეევი) თვით ამ დღეს გამოაცხადეს კენჭის ყრის სურვილი ხმოსნობაზე: ამ ნაირად დაიდგა სულ 65 ყუთი და შეუდგნენ კენჭის ყრას ჩვეულებრივის წეს რიგით.

კენჭის ჩამოტარება გაათავეს ნაშუადღევის 5 საათზე და შეუდგნენ თვლას.

პირველს ორს ყუთში (ე. მ. აკოფოვისა და პ. ი. ალიბეგოვის) დაითვალა თვით თავმჯდომარემ ბ. ივანენკომ და დანარჩენები დაითვალეს ასისტენტებმა.

| არჩეულ იქმნენ: | თეთრი—შავი |
|---|---|
| აკოფოვი, ე. მ. . . | 363—225 |
| ალიბეგოვი, პ. ი. . . | 379—210 |
| ბაბოვი, ა. ს. . . . | 369—219 |
| ბაბოვი, ე. ს. . . . | 309—277 |
| ბუდაღოვი-ბაღდასაროვი, | 297—291 |
| ბუდაღოვი, ი. ს. . . | 338—248 |
| ვესელოვზოროვი, მ. ნ. | 315—273 |
| ვესელოვზოროვი, ბ. პ. | 312—277 |
| გრიქუროვი, ნ. ა. . . | 304—282 |
| ევანგულოვი, ა. ბ. . | 333—255 |
| ეგიაზაროვი, ვ. ს. . | 300—287 |
| კანდურალოვი, ვ. გ. . | 301—285 |
| კოლუმბნელი, გ. მ. . | 349—242 |
| ლისიციანი, ს. დ. . | 342—245 |
| მელიქ-ნუბაროვი, ს. გ. | 311—277 |
| მირზოევი, გ. ზ. . . | 304—282 |
| მიტკევიჩი, ა. ი. . . | 307—282 |
| მულინი, ტ. ი. . . . | 308—282 |
| ოდნოსუმოვი, ა. ი. : | 346—241 |
| პახომოვი, ვ. ნ. . . | 335—261 |
| პსაროვი, ი. ე. . . | 334—257 |
| სულხანოვი, ი. ა. . . | 354—232 |
| თამამშევი, ნ. ი. . . | 322—266 |
| ტერ-ასატუროვი, . . | 352—235 |
| თავ. თუმანოვი, ნ. ზ. | 332—254 |
| შადინოვი, ი. ა. . . | 384—208 |
| შერშენკო, ი. ა. . . | 346—239 |
| შესტაკოვი, მ. ს. . . | 324—262 |
| სერგეევი, ა. გ. . . | 358—231. |

ამ ნაირად არჩეულ იქმნენ ახლად სულ 29 პირი ხმოსნად; ამათში: 18 სომეხი, 9 რუსი და 2 მითამდა ქართველი.

კრება დაიშალა საღამოს 10 საათზე.

## ცნობა სასამართლოდგან.

ტფილისის სამოსამართლო პალატა 10 ამა ივნისის თვისას განიხილავს, ბესარიონ და კონსტანტინე საგრიშვილის, ნესტორ და ბართლომე შანიძის, ესტატე ჯიბლაძის და სხვებთა საქმეს, რომელთაც ბრალდებათ ქუთაისის ურიებზე აჩხედრება 1895 წ. და, რომელთაც ქუთაისის ოლქის სასამართლომ უკვე დასდო თავის განაჩენი, მაგრამ არ იყაბულეს ის განჩინება და საჩივარი გადაიტანეს სამოსამართლო პალატაში.

## წვრილი ამბავი

კაცის მჭამელობა ამ საუკუნის დასაწყისში. გაზეთ „რუსს“ მოჰყავს სამი გასაოცარი ამბავი კაცის მჭამელობისა, რომელიც ამ საუკუნის ნახევარში მომხდარა რუსეთში. აი რა უთქვამს ერთს კაცს, რომელიც მოწამე გამხდარა კაცის ჭამისა: ანდრია ჩელნიკოვი დედით და მსახურ ბიჭით გზაში მიდიოდნენ. დედამ ვერ შესძლო სიარული და გზაზედ რჩებოდა. ჩელნიკომა უბრძანა მსახურს ეცემნა დედისათვის, მაგრამ რადგან მსახურმა ვერ გაბედა ამის ასრულება, თითონ მივიდა, დასცხო კეტი სამჯერ თავში და იქვე სული გააგდებინა. ჩელნიკოვმა შემდეგ აჭკეფა იგი, მოხარშა, სჭამა თვითონ და ცოლსა და მსახურსაც ლაზედ აჭამა.

მეორე მაგალითი კიდევ. ერთს კუტელს ოჯახში ორი ქალი ჭუ შიმშილობა რომ ჩამოვარდა, ჯერ თი ქალი მოკლა, მოჭხარშა და ს მერე, რომ გამოელია, მეორეც მოაყოლა. ბოლოს, საქმე თვით ც ზედ მიდგა. მაგრამ ცოლმა, როგ იყო, თავი იხსნა, გაიქცა ტყეში იქ შიმშილით ამოხდა სული.

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
შეიძლება დაიზღვას თანხა განსაზღვრულის ვადით, ასე რომ იმ პირს, რომელმაც დაიზღვია თანხა, ანუ პოლისის პატრონს, რაკი პირობაში ნაჩვენები განსაზღვრული ვადა დასრულდება, მიეცემა ფული სრულიად: ხოლო, უკეთუ დაზღვეული პირი გარდაიცვალა პირობაში აღნიშნულ ვადამდე, მაშინ მემკვიდრენი ფულს აღარ შეიტანენ და დაზღვეულ თანხას ვადაზედ უნაკლულოდ მიიღებენ და, გარდა ამისა, საზოგადოება აძლევს ყოველ წლიწადს პოლისის პატრონს სარგებელს 5% დაზღვეულის თანხიდამ.
**მაგალითი:** მამა, რომელიც 30 წლისაა, ვსთქვათ, აზღვევს პატარა შვილისათვის თანხას 5,000 მანათს, იმ პირობით, რომ იგი თანხა შეიტანოს 21 წლის განმავლობაში.
ამ დაზღევაში იმან უნდა იხადოს ყოველ ოთხ თვეში ერთხელ,—21 წლის განმავლობაში,—**74** მანათი და **50** კაპ.
თუ ვინიცობაა მამა მოკვდა, თუნდაც დაზღევის პირველ წელიწადსვე, შვილს ეძლევა 20 წლის განმავლობაში ყოველ წლივ სარგებელი 250 მანათი და, გარდა ამისა, რა დადგება პირობაში აღნიშნული ვადა, დაზღვეული თანხა 5.000 მანათიც მიეცემა.
უკეთუ დაზღვეული პირი იცოცხლებს აღნიშნულ ვადაზედ მეტს, მაშინ დაზღვეული თანხა ეძლევა მას, ანუ პოლისის პატრონს.
დაზღვევა მიიღება ამიერ-კავკასიის უმთავრეს აგენტის საოლქო სამმართველოში **თევდორე ალექსანდრეს ძე ივანოვთან,** ქ. ტფილისში, ერევნის მოედანზე, ველიამინოვის ქუჩის და სომხების ბაზრის კუთხეში, № 2.
ტელეფონი **№ 51.**
Страховое общество
**„ЯКОРЬ“**
Страхованіе принимается въ Окружномъ управленіи Главнаго Агента Закавказскаго края **ФЕОДОРА АЛЕКСАНДРОВИЧА ИВАНОВА.**
Г. Тифлисъ, Эриванская площадь: на углу улицъ Вельяминской и Армянскаго базара, д. № 2.
*Телефонъ управленія № 51.* (100—27)

Боржомскій стеклянный заводъ
имѣетъ честь довести до свѣдѣнія, что
**Представительство**
и **ИСКЛЮЧИТЕЛЬНОЕ ПРАВО ПРОДАЖИ,**
издѣлій завода въ г. Тифлисѣ и его окрестностяхъ передано
**инженерамъ**
**Яралову и Алиханову,**
къ которымъ и проситъ обращатся какъ съ заказами, такъ и за всякаго рода свѣдѣніями и справками.
**БОРЖОМСКІЙ СТЕКЛЯННЫЙ ЗАВОДЪ**
Управляющій **Августъ В. Эркслебенъ.**
Главная контора инженеровъ Яралова и Алиханова помѣщается въ г. Тифлисѣ, на Александровской улицѣ въ собст. домѣ. (Телефонъ № 9); **оптовый же складъ бутылокъ**—въ зданіи г. Долуханова, близъ вокзала, (рядомъ со складомъ винъ Торговаго Дома кн. З. А. Джорджадзе и К°.)
**ბორჯომის შუშა-მინის ქარხანა**
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ ქარხნის ხელობა და სხვა-და-სხვა ნაწარმოები იყიდება განსაკუთრებით
ინჟენერ
**იარალოვისა და ალიხანოვის** ქარხანაში
ყველანი ამ ქარხანას მიჰმართავენ ყოველგვარ შეკვეთისათვის.
ბორჯომის შუშა-მინის ქარხნის გამგებელი ა. ვ. ერკსლებენ.
(100—30)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Юнія 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.